

**ენობრივი სიტუაცია
მოსკოვის აღმოსავლური ენების
ლაზარიანთა ინსტიტუტში
(XIX საუკუნის მეორე ნახევარი)
LINGUISTIC SITUATION AT LAZARIAN INSTITUTE
OF ORIENTAL LANGUAGES IN MOSCOW
(SECOND HALF OF THE 19th CENTURY)**

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
გორი. საქართველო

Mariam koberidze

Gori State Teaching University
Gori. Georgia

ABSTRACT

This article explores the linguistic situation in the second half of the 19th century at the Lazarian Institute of Oriental Languages in Moscow. The personal archival fund, epistolary heritage, scholarly articles, and press materials of Georgians working here provide us with important information to examine the issue. According to historical and literary sources, the Lazarian Institute of Oriental Languages in Moscow, as a private educational institution, was established on May 10, 1815, using the funds of the Iran-based, affluent and influential family of Armenian origin, the Lazarians. The founders were brothers, Ivan and Ecom Lazarevich Lazarians.

Along with Oriental languages (Armenian, Arabic, Persian, Turkish, and so on), the teaching of the Georgian language was introduced at the Lazarian Institute in Moscow from the very beginning. Famous public figures such as Mikheil Gurgenidze, Petre Nakashidze, Ilia Okromchedlishvili, and Alexandre Khakhanashvili pursued teaching there.

The teaching of Georgian language and literature acquired an academic nature and was carried out systematically and efficiently during Ilia Okromchedlishvili's tenure. Ilia Okromchedlishvili gained great authority with his social-scientific and educational work. He was always considered, appreciated, and deservedly respected.

Aleksandre Khakhanashvili is a representative of the generation of Georgian public figures living in Russia who were actively involved in the care and study of the Georgian language and culture. After he graduated from the Faculty of History and Philology of Moscow University, starting from 1889, he delivered lectures in Georgian language and literature in the capacity of Privatdozent at the Lazarev Institute of Oriental Languages.

The study of the materials that reflect the educational and scholarly activities of teachers of the Department of Georgian Language and Literature at the Moscow Lazarev Institute is of special importance with reference to the modernity.

საკვანძო სიტყვები: მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტი, ქართული ენის სწავლება, მიხეილ გურგენიძე, პეტრე ნაკაშიძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი.

Keywords: Moscow Lazarev Institute, teaching Georgian language, Mikheil Gurgenidze, Petre Nakashidze, Iliia Okromchedlishvili, Alexandre Khakhanashvili.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ენობრივი სიტუაცია მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარიანთ ინსტიტუტში. აქ მოღვაწე ქართველთა პირადი საარქივო ფონდი, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიები და პრესის მასალები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან საკითხის შესასწავლად.

ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარიანთ ინსტიტუტი, როგორც კერძო სასწავლო დაწესებულება, დაარსებულა 1815 წლის 10 მაისს. დამაარსებლები ყოფილან სპარსეთში მცხოვრები სომხური წარმოშობის მდიდარი და გავლენიანი საგვარეულოს წარმომადგენლები – ძმები **ივანე და ეკიმ ლაზარეს ძე ლაზარიანები** (გოზალიშვილი 1976: 33).

ინსტიტუტი ამზადებდა მეფის რუსეთის იმპერიის განაპირა ოლქებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის ენების მცოდნე საჭირო მოხელეებს (მოსამსახურე პერსონალს, თარჯიმნებს...). აქ ისწავლებოდა აღმოსავლური ენები: თურქული, სომხური, არაბული, სპარსული, ქართული. ქართული ენის სწავლებას, სხვა ენებთან შედარებით, ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი (ყოველკვირეული ორ-ორი საათი) (ხახანოვა 1903: 11; გოზალიშვილი 1976: 36).

მოსკოვის ლაზარიანთ ინსტიტუტში არსებობდა ერთი მოსამზადებელი, შვიდი გიმნაზიის კლასი და სპეციალური კლასი (სამწლიანი კურსი). ამ სპეციალურ კლასს მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის მნიშვნელობა. სპეციალური კლასი ორგანიზაციული შემადგენლობით და სასწავლო პროგრამით გამოყოფილი იყო გიმნაზიის კლასებისაგან. მას ჰქონდა თავისი სამეცნიერო საბჭო (წევრები: დირექტორი, ინსპექტორი, პროფესორები, დოცენტები, უფროსი მასწავლებლები...).

მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში მოღვაწე ქართველი პედაგოგების დიდი ძალისხმევით ქართული ენის სწავლება შესაფერისად მაღალ დონეზე იყო დაყენებული.

ამ სასწავლებლის დაარსებიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართულ ენას ასწავლიდა სასულიერო პირი **მიხეილ სიმონის ძე გურგენიძე**. ის განსაკუთრებულად ზრუნავდა და მფარველობას უწევდა რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს. ეხმარებოდა მათ ფინანსურად. ღრმა მოხუცებულობის გამო მიხეილ გურგენიძემ 1960 წლის დასასრულს მასწავლებლობას თავი დაანება (გოზალიშვილი 1976: 29).

1860 წლის სექტემბრიდან ინსტიტუტის ქართული ენის უფროს მასწავლებლად დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული, აღმოსავლური ფილოლოგიის კანდიდატის ხარისხის მქონე **პეტრე ნაკაშიძე** – ქართველ თერგდალეულთა ცნობილი

წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის უახლოესი მეგობარი, რომელიც ამავე დროს მსახურობდა მოსკოვის უნივერსიტეტშიც.

საარქივო მასალების მიხედვით, სასწავლებელში პეტრე ნაკაშიძემ ქართული ენის უფროს მასწავლებლად სულ სამი სასწავლო წელი დაყო. 1863 წლის 22 მარტს, ოჯახური მდგომარეობის მომიჯნავეებით, მან თავი გაითავისუფლა ქართული ენის მასწავლებლობისაგან და სამშობლოში დაბრუნდა. მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პეტრე ნაკაშიძე სულ მალე აჯანყებულ პოლონეთში გაემგზავრა (მსსია, ფ. 213).

პოლონეთის 1863 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ (ნაკაშიძე 1863: 41-50). ილია ჭავჭავაძემ მას მიუძღვნა პოემები „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და „ქართველის დედა“ (ქსე 1984: 302).

ლაზარევის ინსტიტუტის მზრუნველის შუამდგომლობით 1863 წლის 14 ივლისიდან ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა **ილია ოქრომჭედლიშვილი**. სწორედ ამ წლის გაზაფხულზე დაამთავრა მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილება კანდიდატის ხარისხით.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ მაშინდელი პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა დიდ ნუგეშსა და გამხნევებას, ზნეობრივ და მატერიალურ მხარდაჭერას პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორის – დავით იესეს ძე ჩუბინაშვილისაგან იღებდა. მის მიერ გაწეული მატერიალური თუ აკადემიური ხელმძღვანელობით ილია ოქრომჭედლიშვილმა დაძლია სტუდენტური ცხოვრების ყოველგვარი მძიმე პირობები და სასურველი გზით წარმართა მუშაობა უმაღლესი განათლების მისაღებად (გოზალიშვილი 1976: 24).

საარქივო მონაცემების მიხედვით, ილია ოქრომჭედლიშვილს უნივერსიტეტის დამამთავრებელი გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ ფაკულტეტისათვის წარუდგენია სადისერტაციო ნაშრომი „თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში“. არსებული მოსაზრებით, სადისერტაციო ნაშრომი მას დავით ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით უნდა ჰქონოდა შესრულებული. ამას ადასტურებს არქივში დაცული მოხსენება, რომელიც 1863 წლის ივნისში უნივერსიტეტის მმართველობის დროებითი კომისიის თავმჯდომარისათვის წარუდგენია აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ დავით ჩუბინაშვილს. დავით ჩუბინაშვილი აღნიშნულ მოხსენებაში წერდა: „აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილების თავისუფალმა მსმენელმა ილია ოქრომჭედლიშვილმა საკანდიდატო გამოცდების წარმატებით ჩაბარებასთან ერთად დამატებით წარმოადგინა დისერტაცია: „თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში“, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი“ (ლსსია, ფ. 14).

ილია ოქრომჭედლიშვილი ლაზარევის ინსტიტუტში დიდი მონდომებით შეუდგა ქართული ენის მასწავლებლობას. მან სულ მალე დაიმსახურა მოსკოვში ჩასული ქართველი ახალგაზრდების სიყვარული. იგი იყო გულისხმიერი, კეთილი გულის ადამიანი, მშობლიური ხალხის ერთგული შვილი, სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისათვის მუდამ მზრუნველი, თავმდაბალი, უანგარო ქველმოქმედი.

1865 წლის 1 ოქტომბრიდან კავკასიის კომიტეტის მიერ ილია ოქრომჭედლიშვილი შეთავსებით დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტში კავკასიელ სტუდენტთა ქართული ენის მასწავლებლად. 1871 წლის 28 აგვისტოდან, როცა ლაზარევის ინსტიტუტში დაარსდა ქართული ენის კათედრა, ილია ოქრომჭედლიშვილი უფროსი მასწავლებლობიდან დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, ხოლო 1882 წლის 1 ნოემბრიდან იმავედროულად ინსტიტუტის სპეციალური კლასების სამეცნიერო საბჭოს მდივნად აირჩიეს (გოზალიშვილი 1976: 31).

ილია ოქრომჭედლიშვილის მოღვაწეობის პერიოდში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებამ მეცნიერული ხასიათი მიიღო. ინსტიტუტის სასწავლო გეგმის მიხედვით, სპეციალურ კლასებში, სხვა ენებთან შედარებით, ქართულ ენას, მართალია, ნაკლები საათები ჰქონდა დათმობილი, მაგრამ მისი სწავლება მაინც შესაფერისად მაღალ დონეზე იყო დაყენებული. ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ შედგენილი პროგრამა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ინსტიტუტის სპეციალური კლასების პირველ, მეორე და მესამე კურსზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მოცულობის შესახებ (ხახანოვა 1903: 11).

განსაკუთრებით საინტერესოა ილია ოქრომჭედლიშვილისეული სწავლების მეთოდი. ის ქართული ენის სწავლებას პირველ კურსზე ანბანით იწყებდა. ჯერ ასოებისა და ბგერითი გამოსახულების დაწვრილებითი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ახსნა-განმარტებით აცნობდა სტუდენტებს. რამდენიმე მოსამზადებელი ლექციის შემდეგ, როცა სტუდენტები შეითვისებდნენ კითხვასა და წერას, თეორიული საკითხების გაშუქებასთან ერთად, პრაქტიკულად ავარჯიშებდა მოკლე წინადადებების (ფრაზების) გამოთქმებით, ჩვეულებრივი ლექსის ფორმით, პატარა მოცულობის ანდა ნაწყვეტი ლექსების შესწავლით, ზეპირი წარმოთქმით და სხვ. შემდეგ თანდათან იწყებდა მარტივიდან რთულ წინადადებათა შინაარსზე გადასვლას, მსმენელებს აცნობდა სანიმუშო სიტყვათა ბრუნვებს, ავარჯიშებდა სიტყვათა გამოთქმაში, კითხვასა და წერაში.

ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ შედგენილი პროგრამით სტუდენტები არა მარტო ქართულ ენასა და ლიტერატურას სწავლობდნენ, არამედ ეცნობოდნენ საქართველოს კულტურას, ისტორიას, გარკვეული წარმოდგენა ექმნებოდათ ქართული ენის ბუნების შესახებ.

ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით, ქართული ენის შესწავლისათვის წინასწარი მოსამზადებელი ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობა დაახლოებით ორ თვეს გრძელდებოდა. ამის შემდეგ იგი იწყებდა ტექსტების კითხვასა და მის თარგმნას დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში მოთავსებული 23 იგავის მიხედვით. თარგმანთან ერთად მსმენელებს თანამიმდევრობით ეძლეოდათ ახსნა-განმარტება სიტყვების ეტიმოლოგიისა და მნიშვნელობის შესახებ.

ქართული ენის პრაქტიკულ-თეორიული საკითხების შესასწავლად სტუდენტებს, ლექტორის მოთხოვნით, ჰქონდათ ოთხი რვეული: ერთში ისინი იწერდნენ ახალ-ახალ სიტყვებს, მეორეში – გრამატიკულ წესებს, მაგალითებს, სიტყვათა ბრუნების ნიმუშებს, მესამეში – წინადადებს, ფარზეოლოგიურ ნიმუშებს (გამოთქმებს), მეოთხე რვეულში იწერდნენ ტექსტებს, კითხვისათვის განკუთვნილ ნაწყვეტებს...

ილია ოქრომჭედლიშვილი თავის სალექტორო პრაქტიკაში უმთავრეს მნიშვნელობას მთარგმნელობით მეთოდს ანიჭებდა. მეორე კურსზე სათარგმნელ ტექსტად ლექტორი იყენებდა ნაწყვეტებს დავით ჩუბინაშვილის ქრესტომათიიდან. იგი ტექსტის თარგმნისას პარალელურად მიმართავდა გრამატიკულ ანალიზს, ისევე როგორც პირველ კურსზე, მაგრამ უფრო მეტი სიღრმითა და მოთხოვნით. ამასთანავე, სტუდენტებს აწოდებდა ახალ-ახალ ცნობებს როგორც ქართული ენის საკითხებზე, ისე ლიტერატურის ისტორიიდან; ასწავლიდა ლექსიკონის მოხმარებას ქართული ენის შესწავლისათვის. ამავე დროს იგი სტუდენტებს ბევრს უკითხავდა და მათაც აკითხებდა კრილოვის იგავ-არაკებს და ზეპირადაც ავარჯიშებდა რუსულიდან ქართულად თარგმნაში. ამ სახის სასწავლო პრაქტიკულ-თეორიული ღონისძიება მეორე კურსიდან იწყებოდა და მესამე კურსის დასასრულამდე გრძელდებოდა.

მესამე კურსზე სტუდენტები იმდენად ერკვეოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნაში, რომ თავისუფლად თარგმნიდნენ გარკვეულ ნაწყვეტს (11 გვ.) საქართველოს ისტორიიდან – „მეფე ვახტანგ გორგასლანის ლაშქრობა ბიზანტიაში“. მსმენელებს ასევე შეეძლოთ „ქილილა და დამანადან“ 10 გვერდის თარგმნა და მისი შინაარსობრივი გარჩევა, ანალიზი.

მსმენელებს ევალუბოდათ ეთარგმნათ ქართულ ენაზე კრილოვის არაკები; ევარჯიშათ ქართული სიგელებისა და ისტორიული საბუთების ნიმუშების, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებისა (5 თავი) და სხვადასხვა თხზულებათა ტექსტების კითხვაში, დაუფლებოდნენ ქართული ენის გრამატიკის ცალკეულ საკითხებს, მოეხდინათ მათი ანალიზი, ეთარგმნათ რუსულიდან ქართულად (Хаханов 1903: 11).

ქართული ენის სამწლიანი საპროგრამო მასალის შესწავლისათვის ილია ოქრომჭედლიშვილს ძირითად სახელმძღვანელოდ აღებული ჰქონდა თავისი საყვარელი მასწავლებლის – პროფესორ დავით ჩუბინაშვილის ქართველი მწერლების ქრესტომათია და მისივე ლექსიკონები.

ილია ოქრომჭედლიშვილმა თავისი საზოგადოებრივ-სამეცნიერო და სასწავლო-სააღმზრდელო სასარგებლო მუშაობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მას ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ, აფასებდნენ და პატივს სცემდნენ. ილია ოქრომჭედლიშვილი, ქართული ენის კათედრის დოცენტის პირდაპირი მოვალეობის გარდა, უანგაროდ (უსასყიდლოდ) ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: იგი იყო ეკონომიური საბჭოს ერთ-ერთი წევრთაგანი; სპეციალური კლასების საბჭოს მდივანი (1882-1889); ამასთანავე, სხვა პროფესორებთან ერთად, წვლილი მიუძღვის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდის შევსება-გამდიდრებაში შემოწირულობის სახით (გოზალიშვილი 1976: 37-42).

მიუხედავად იმისა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილი მოსკოვში მოღვაწეობდა, თავისი ქველმოქმედებითა და მატერიალური დახმარებით ხელს უწყობდა ქართული ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ის ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. ეს პირადი სიახლოვე გაგრძელდა ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების

შემდეგაც. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ილია ჭავჭავაძისა და ილია ოქრომჭედლიშვილის პირადი წერილები.

ილია ჭავჭავაძე 1881 წლის 2 ოქტომბერს ილია ოქრომჭედლიშვილს სწერდა: „წერა-კითხვის საზოგადოებამ დამავალა გაცნობით, რომ იგი შეუდგა ძველი მწერლობის ნაშრომების ბეჭდვისათვის წიგნების მზადებას, ფული კი, როგორც მოგეხსენება, იოხტურ. ამის გამო მთხოვეს მოგწერო და გკითხო, „შეეწევი თუ არა“. შენი დიდი იმედი აქვთ და შენგან მოელიან საკმაო შემწეობას. ჰსურთ დაბეჭდონ მეფე თეიმურაზი, არჩილ მეფე, კარგა მოზრდილი წიგნები გამოვა, ნამეტნავად უკანასკნელის თხზულებანი. შემდგარია კამისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის სამართლის აღდგენა, კამისია უკვე მუშაობს და იმედოვნებს მალე მომზადდეს დასაბეჭდად. ეხლა შენდა გელოდებიან, რას იტყვი“ (ჭავჭავაძე 1961: 94-95).

ამ წერილით ილია ჭავჭავაძე ილია ოქრომჭედლიშვილს აცნობებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თხოვნას – შეძლებს თუ არა იგი, ფულადი დახმარება გაუწიოს საზოგადოებას ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმეში.

ამ თხოვნის საპასუხოდ, ილია ოქრომჭედლიშვილის თანხმობისა და ქველმოქმედების შესახებ ქართული პრესის ფურცლებიდან ვიგებთ. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილს 600 მანეთი შეუწირავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების დასაბეჭდად (დროება 1881: 11). იმავე ინფორმაციას აწვდიდა საზოგადოებას ქუთაისური გაზეთი „შრომა“: „ძველის ხელნაწერი წიგნების ბეჭდვის დღეც დადგება ადრე თუ გვიან. ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ბატ. ი. ოქრომჭედლიშვილმა ამ საგნისათვის ექვსასი თუმანი აღუთქვა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ (შრომა 1881: 3-4).

ილია ოქრომჭედლიშვილის შემდეგ, 1889 წლის იანვრიდან მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე ძვირფასი მასწავლებლის საქმე განაგრძო **ალექსანდრე ხახანაშვილმა**. ილია ოქრომჭედლიშვილის წერილობითი რეცენზია-დახასიათების საფუძველზე, სამეცნიერო საბჭომ მიიღო დადგენილება: მიწვეულ იქნეს ალ. ხახანაშვილი ქართული ენის გარეშე (დროებით, პირობითად) მასწავლებლად, 900 მანეთის წლიური ხელფასით (მსსია, ფ. 459; გოზალიშვილი 1976: 65).

ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ილია ოქრომჭედლიშვილს განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ლაზარევის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე, პატივს სცემდნენ და ითვალისწინებდნენ მის აზრს.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილების შემდეგ, ალ. ხახანაშვილმა პირველი საცდელი ლექცია „საერთო თვალსაზრისი ქართველოლოგიის მდგომარეობის შესახებ“ უმაღლესი სპეციალური კლასების სტუდენტებთან, პროფესორთა საბჭოს წევრების თანდასწრებით, წაიკითხა 1989 წლის 23 იანვარს, ორშაბათს, ნაშუადღევს, 2 საათსა და 20 წუთზე. დამსწრე საზოგადოებაზე ლექციამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მოიწონა.

ამ ამბის შესახებ ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში საზოგადოებას ატყობინებდა: „ბ-ნი ა. ხახანაშვილი 23 იანვრიდან დაინიშნა

ქართული ენის მასწავლებლად ლაზარევის ლიცეიში. პირველი ლექცია ბატონმა ხახანაშვილმა წაიკითხა პროფესორების თანდასწრებით. ლექცია შინაარსით საინტერესო იყო და მოსაწონი. პროფესორებმა თანაგრძნობით მიიღეს პირველი დებიუტი ახალგაზრდა ლექტორისა“ (ჭავჭავაძე 1889: 2).

იმავე პერიოდში მიღებული წესის თანახმად, ლაზარევის ინსტიტუტის საბჭოს 1889 წლის 27 მაისის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება ქართული ენის კათედრის თავისუფალი, ვაკანტური ადგილის შესახებ პრესაში განცხადების გამოქვეყნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით განცხადება გამოქვეყნდა „მოსკოვსკი ვედომოსტში“. ინსტიტუტის დირექციამ 1889 წლის 16 ოქტომბერს თბილისში „ივერიის“ რედაქციას მიმართვა გაუგზავნა რუსული ტექსტით და მოითხოვა, რომ რედაქციას ეს განცხადება ქართულად ეთარგმნა და გაზეთში სამჯერ გამოქვეყნებინა. ივერიის რედაქციამ სიამოვნებით შეასრულა ინსტიტუტის თხოვნა, განცხადების თარგმნა და ოქტომბრის სამ ნომერში გამოქვეყნება.

ეს ფაქტი ნათელი დადასტურება იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაშინ აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, ილია ოქრომჭედლიშვილის შემდეგ ქართული ენის კათედრისათვის ცოდნით და ღირსებით შესაფერისი კანდიდატურა შეერჩია.

გაზეთი „ივერია“ ქართულ საზოგადოებას აუწყებდა: განცხადების წარმდგენელმა შემდეგი პირობები უნდა დააკმაყოფილოს: 1. თავისი სამეცნიერო თხზულება უნდა წარმოადგინოს ამ საგნის შესახებ და იმით დაამტკიცოს, რომ საფუძვლიანი ცოდნა აქვს ქართული ენისა და ლიტერატურისა და ან 2. სამეცნიერო ხარისხი უნდა ჰქონდეს მიზნად მიღებული რუსეთის, ან სხვა ქვეყნის უნივერსიტეტისაგან ქართული ენის შესახებ დაწერილი თხზულებისათვის. 3. ვინც ამ მხრით დააკმაყოფილებს მთავრობას ინსტიტუტისას, წელიწადში 1200 მან. ჯამაგირი მიეცემა და მე-7 კლასის ხარისხი ექნება.

ასეთი მინიშნებაც იყო: თუ ასეთი კაცი არ აღმოჩნდა, მაშინ უნივერსიტეტი დანიშნავს თვითონ – ინსტიტუტის საბჭოს გადაწყვეტილებით (ივერია 1889: 4).

ყველასათვის იყო ცნობილი, რომ ამ უნივერსიტეტის მასწავლებელი ალ. ხახანაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო კანდიდატურა იყო.

ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შეიტანა, აგრეთვე, პარმენ ივანეს ძე თვალჭრელიძემ, ცახელის ფსევდონიმით ცნობილმა მწერალმა. 3. თვალჭრელიძის აღნიშნული განცხადება განიხილა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ სხდომაზე 1889 წლის 20 ნოემბერს და აღნიშნა, რადგან პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულ მოთხოვნაზე იგი ვერ აკმაყოფილებს, მისი თხოვნა უშედეგოდ იქნეს დატოვებული (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 213).

ალექსანდრე ხახანაშვილმა თხოვნით მიმართა ლაზარევის ინსტიტუტის დირექტორს 1890 წლის 27 მარტს: „მაქვს სურვილი დავიკავო ქართული ენის თავისუფალი კათედრა ლაზარევის ინსტიტუტის სპეციალურ კლასებში ქართულ ენაზე. ჩემი თხოვნა – „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ და საბუთები წარმოდგენილი

მაქვს გასულ წელს ინსტიტუტის კანცელარიაში“. სამი წლის მუშაობის შემდეგ ალ. ხახანაშვილმა ითხოვა დაემტკიცებინათ დოცენტის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, მაგრამ მაგისტრის ხარისხის გარეშე უარი უთხრეს დაეკავებინა ეს თანამდებობა. ექვსი წლის განმავლობაში თითო წლით იწვევდნენ მასწავლებლის თანამდებობაზე. 1894 წლის 8 დეკემბრიდან შესაძლებელი გახდა ალ. ხახანაშვილს ლაზარევის აღმოსავლური ენების სპეციალური კლასების ქართული ენის კათედრის დოცენტის მოვალეობის აღმსრულებლის თანამდებობა დაეკავებინა (მსია, ფ. 213).

ამრიგად, მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარეის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე ქართველ მოღვაწეთა საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საშობლო სათვის თავდადებული მამულიშვილი. ქართული ენისა და კულტურის მოვლა-პატრონობის საქმეში მათ მიერ უცხოეთში გაწეული ღვაწლის ამსახველი მასალების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვეობასთან მიმართებით.

დამოწმებული ლიტერატურა

გოზალიშვილი 1976: შ. გოზალიშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი. თბილისი, 1976.

ნაკაშიძე 1863: ნაკაშიძე პ., სამგზავრო წერილები. საქართველოს მოამბე, ტ. VII. თბილისი, 1863.

ჭავჭავაძე 1961: ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. X. თბილისი, 1961.

ჭავჭავაძე 1889: ჭავჭავაძე ი., ახალი ამბავი. გაზეთი „ივერია“, №49, 7 მარტი. თბილისი, 1889.

Хаханов 1903: Хаханов (Хаханашвии) А. Тридцатилетие Специальных Классов Лазарского Института восточном языков. Москва, 1903.

წყაროები

დროება 1881: გაზეთი „დროება“, №192. თბილისი, 1881.

ივერია 1889: გაზეთი „ივერია“, №225, 20 ოქტომბერი. თბილისი, 1889.

ლსსია: დავით ჩუბინაშვილის ავტოგრაფი: ლენინგრადის საოლქო სახელმწიფო ისტორიული არქივის უნივერსიტეტის ფონდი 14, საქმე 14745 ა, ფურცელი 104.

მსსია: მოსკოვის საოლქო სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი №459, ანაწერი 2, საქმე 4264, ფურცელი 13; №213, ანაწერი 2, საქმე 285, ფურცელი 18.

მსია: პ. ნაკაშიძის ბიოგრაფიული მასალები: მოსკოვის საოლქო ისტორიული არქივი, ფონდი №213, ანაწერი 2, საქმე 186. ეს მასალები ჩამოტანილი იქნა შ. გოზალიშვილის მიერ, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. ნაკაშიძის ფონდი 291.

ქსე1984: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბილისი, 1984.

შრომა 1881: გაზეთი „შრომა“, №6, ქუთაისი, 1881.

ხელნაწერთა ინსტიტუტი: ხელნაწერთა ინსტიტუტის ალ. ხახანაშვილის ფონდი, ფ. 213, შენაკრავი 57, საქმე 765, ფურცელი 3. თვალჭრელიძის განცხადება რუსულად, ავტოგრაფი, 20.10. 1889. მოსკოვის საოლქო არქივის ფონდიდან ჩამოიტანა შალვა გოზალიშვილმა.